


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

წინასიტყვაობა


1. **შემუშავებულია** - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე; განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე; მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი ვლადიმერ ბოგდანოვი მიერ;
2. **დამტკიცებულია** - შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 30 დეკემბრის სენატის სხდომის ოქმი N23; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N233);



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

8. წინა ხმს ანალიზის შედეგების მიხედვით ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში


- 1) 2019 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით ბუსსს ანრი არის ავტორიზირებული და აკრედიტირებული (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა სპეციალობები) და პროფესიული მოდულური (საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია სპეციალობები) საგანმანათლებლო პროგრამების მწარმოებელი კოლეჯი, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი, რომელიც ახორციელებს 43 დასახელების კონვენციურ საწვრთნელ კურსს და საკრუინგო და გემთვლობელი კომპანიების მოტხოვნით სხვადასხვა დასახელების არაკონვენციურ საწვრთნელ კურსს.
- 2) 2019 წელი შეგვიძლია ავლნიშნოთ როგორ ბუსსს ანრის აღორძინების წელიწადი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო გადადგმული უსდ და პსდ-ს ავტორიზაციის ახალი სტანდარტებზე მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სტანდარტების შესაბამისობისთვის, მათ შორის მოხდა რესტრუქტურისაცია, რის შედეგად შეიცვალა სასწავლებლის სტრუქტურა, შეიცვალა გარკვეული პერსონალი, ავლნიშნეთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, სრულიად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ნორმატიული დოკუმენტების ბაზა, სასწავლებელში მიმდინარეობს კველვითი საქმიანობა, ვმუშაობთ ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ჩატარდა კონფერენციები, წლის განმავლობაში მოწვეული იყო გერმანელი ექპერტები პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩასატარებლად. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია და ასაღნიშნია ყოველ პროცესში ჩართულია სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და მუშაობა მიმდინარეობს გუნდურად, ერთობლივად. გააქტიურებულია სტუდენტური ცხოვრება. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.
- 3) ბუსსს ანრიმ წარმატებით გაიარა უმაღლესი სასწავლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების პირობების შესრულების მონიტორინგი (2019 წლის 27 სექტემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 36). მიიღო მონაწილეობა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისობაზე თვითშეფასების პროცესში. 2019 წლის 29 მარტს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორების მიერ ჩატარდა გეგმიური შუალედური აუდიტი. 2019 წლის 17 აპრილს EMSA-ს (ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს) ექსპერტების (სპასკა გეორგიევა, პეტერ პეტროვი) მიერ ჩატარდა პრე-აუდიტი. 2019 წლის 31 მაისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორების მიერ ჩატარდა აღჭურვილობებისა და მოწყობილობების შემოწმება. 2019 წლის 25 თებერვალს წარმატებით გავიარეთ რესერტიფიკაცია ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე.
- 4) მეზღვაურთა წვრთნის მიმართულებით ბუსსს ანრი არის პირველი საწვრტნელი ცენტრი რომელმაც ჩაატარა საჭირო კვლევები და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ბატუმის ნავსადგურის ხელმძღვანელობის ნებრთვით დაიწყო მეზღვაურებისთვის პირადი უსაფრთხოების პრაქტიკული წვრთნების ჩატარება რეალურ პირობებში, სასწავლო გემის გამოყენებით, კერძოდ გემიდან ღია ზღვაში გადახტომით და სამაშველო საშუალებების გამოყენებით.
- 5) წლის განმავლობაში შპს ბუსსს ანრიმ მიიღო მონაწილეობა არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის საქველმოქმედო მიმართულებით. ტრადიციულად მონაწილეობდა და სპონსორობაც გაუწია მეზღვაურთა საერთაშორისო დღისთვის მიძღვნილ გამოვენას.
- 6) სასწავლებლის ერთ-ერთი მიზანია თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, რასაც მაქსიმალურად ხელს უწყობს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობა. წლის განმავლობაში სასწავლებლის თანამშრომლები ესწრებოდნენ არაერთ ტრენინგს და სემინარს, რის დასტურია მიღებული სერტიფიკატები. ასევე გეგმიურად ტარდებოდა ტექნიკური სწავლებები (გეგმა ინახება N 08-92 სქმეში).
- 7) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების 3 წლიანი გეგმა-გრაფიკისა და შიდა ნდ N2-0401-03 საფუძველზე ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნა სასწავლებლის თანამშრომლების, პედაგოგების,



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW


მსმენელებისა და სტუდენტების მონაწილეობით. წვრთნის ჩატარება აღინიშნა გეგმაში და N05-101 ჟურნალში.

- 8) 2019 წლის განმავლობაში სასწავლებლის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში საქართველოს მასშტაბით, აწყობდნენ თემატიკურ საღამოებს, სასწავლებლის პრეზენტაციით იმყოფებოდნენ ზემო აჭარაში. აქტიურად მოღვაწეობდა სტუდენტური თვითმმართველობა.
- 9) წლის განმავლობაში შეძენილი იყო სხვადასხვა ტექ. აღჭურვილობა, ინვენტარი, საწვრტნელი საშუალება, სამუშაო პროცესის ტვის საჭირო ტექნიკა და სხვა. (დანართი 1)
- 10) უკვე მეორე წელიწადი წლის დასასრულს თანამშრომლების მოტივაციის ასამაღლებლად სასწავლებლის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა ფარული კენჭისყრა/კონკურსი 2019 წლის საუკეთესო თანამშრომლის, პედაგოგის, უმაღლესი და პროფესიული სტუდენტის გამოსავლენად. კანდიდატებად წარდგენილი იყო სასწავლებლის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სტუდენტი, სასწავლებლის ყველა პედაგოგი და ყველა თანამშრომელი გარდა ადმინისტრაციის შემდეგი წარმომადგენლებისა: გენერალური დირექტორი ანზორ დიასამიძე, რექტორი რუსლან დიასამიძე, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე, დეკანი გურამ ქათამაძე და პრორექტორი ბადრი დოლონაძე.
- 11) 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებების 101 პუნქტიდან შესრულებულია 89. დარჩენილი 12 პუნქტის შესრულება გადავადებულია 2020 წლისთვის. მასასადამე 2019 წლის სამოქმედო გეგმა შესრულებულია 88,12%-ით.
- 12) წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 2019 წლისთვის დასახული მიზნების შესრულება. ყველა მიზანი მიღწეულია.
- 13) გარე აუდიტების და ავტორიზაციის მონიტორინგის შედეგად ცვლილება განიცადა სასწავლებლის ნორმატიულ დოკუმენტთა ბაზაში. შემუშავდა ახალი ნორმატიული დოკუმენტები, გაერთიანდა უკვე არსებული ნდ რომლებიც შინაარსობრივად ემთხვეოდა ერთმანეთს.
- 14) 2019 წლის განმავლობაში სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 04 ივლისის № 01/01/73 ბრძანების (სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში“ საზღვაო - საწვრტნელი დაწესებულებების მიერ წარსადგენი საზღვაო - საწვრტნელი კურსის (პროგრამის) ჩარჩო სტანდარტის დამტკიცების შესახებ) საფუძველზე განახლებულია წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში არსებული 14 კურსის პროგრამა. შემუშავებული და საზღვაო სააგენტოს მიერ აღიარებულია 1 ახალი პროგრამა „გემის კვების ბლოკში მომსახურე პერსონალის მომზადება“.
- 15) 2019 წელს ხარისხის მართვის სისტემის დაგეგმილი 2 შიდა შემოწმებიდან ჩატარდა ერთი, რადგან წლის განმავლობაში სასწავლებელში ჩატარდა არაერთი გარე შემოწმება, მათ შორის უსდ-ს ავტორიზაციის მონიტორინგი 2ჯერ:
 - ✓ პირველი შიდა შემოწმება ჩატარდა 2018 წლის 04 იანვრით დამტკიცებული შპს ბუსსს ანრის ხმს შიდა შემოწმების გეგმა/გრაფიკის და 2019 წლის 14 თებერვლის №25 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 19 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით. ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმება ჩატარდა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. (2019 წლის 14 თებერვლის სენატის სხდომის ოქმი №03; 2019 წლის 22 თებერვლის სენატის სხდომის ოქმი №04). შემოწმების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამოებები გაფორმებულ იქნა 3 აქტში ხარისხის სისტემის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამოებებისა და მათი აღმოფხვრისათვის მაკორექტირებელი მოქმედებების შესახებ– 019/01, 019/02, 019/03. (დაწვრილებითი ინფორმაცია შიდა შემოწმებების შესახებ მოცემულია არსებული ანალიზის მე-9 და მე-10 თავში).
 - ✓ მეორე შემოწმება არ ჩატარდა შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 19 აგვისტოს N137 ბრძანების საფუძველზე.




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

- 16) 2019 წლის 25 თებერვალს სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს აუდიტორების მიერ ჩატარდა შპს ბუსსს ანრის შემოწმება ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე. შემოწმების შედეგად გამოვლენილი იყო 1 შეუსაბამობა და 1 დაკვირვება; N19.00201.310 შეუსაბამობის და N 19.00202.310 დაკვირვების აქტების საფუძველზე შემუშავებულია მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმა და შესრულდა შესაბამისი ღონისძიებები (დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია არსებული ანალიზის მე-11 თავში).
- 17) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ 2019 წლის 29 მარტს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორების მიერ ჩატარდა გეგმიური შუალედური აუდიტის, 2019 წლის 17 აპრილს EMSA-ს (ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს) ექსპერტების (სპასკა გეორგიევა, პეტერ პეტროვი) მიერ ჩატარდა პრე-აუდიტი, 2019 წლის 31 მაისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორებმა ჩატარა აღჭურვილობებისა და მოწყობილობების შემოწმება. (დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია არსებული ანალიზის მე-12 თავში).
- 18) 2019 წლის 12-13 თებერვალს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრიში (შემდგომში „სასწავლებელი“) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, რომლის საფუძველზეც მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრებები და 2019 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიეცა 60 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. ხარვეზები არმოფხვრილ იქნა დადგენილ ვადაში (დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია არსებული ანალიზის მე-13 თავში).
- 19) 2019 წლის 03 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით შპს ბუსსს ანრის სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილებაში რეგისტრირებულია 1733 შემოსული და 1882 გასული წერილი. ხმს სამსახურის კონტროლის ქვეშ არის მიმოწერის საკონტროლო აღნიშვნების წარმოება.
- 20) საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ამუშავდა ინტერნაციონალიზაციის კუთხით. მიმდინარეობს ERASMUS+ პროექტში ჩართვა, სასწავლებლის ერთი პედაგოგი გავაწევრიანეთ საერთაშორისო საზღვაო ლექტორების ასოციაციაში (IMLA). გვქონდა მცდელობა გაწევრიანებულიყავით საზღვაო უნოვერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციაში (IAMU), სამწუხაროდ ამ ასოციაციაში გასაწევრიანებლად სასწავლებელს უნდა ჰქონდეს სამაგისტრო პროგრამა, რაც აღმოჩნდა ჩვენთვის გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველი. მიმდინარეობს მოლაპარაკება აზერბაიჯანის უცხო ენათა უნოვერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინგლისური ენის პედაგოგის მოწვევასთან დაკავშირებით და საერთაშორისო კონფერენციის გამართვის შესახებ. ასევე მიმდინარეობს თანამშრომლობის დასამყარებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს, პროფესიულ, სავრთნელ დაწესებულებებთან მოლაპარაკებები. 2019 წლის განმავლობაში შემოსული და დარეგისტრირებულია სულ 57 წერილი (საქმე N12-105), როგორც გასული კორექსონდენცია რეგისტრირებულია 62 წერილი (საქმე N 12-107).
- 21) 2019 წლის განმავლობაში ბუსსს ანრისა და სხვადასხვა კომპანიებს შორის სულ გაფორმდა 85 ხელშეკრულება სხვადასხვა მომსახურების შესახებ, აქედან შპს ბუსსს ანრის მიერ რეგისტრირებულია 38 ხელშეკრულება (წიგნი № 13-06). გაფორმებულია 81 სხვადასხვა სახის აქტი, მათ შორის შპს ბუსსს ანრის მიერ რეგისტრირებულია 74 აქტი.
- 22) 2019 წლის 03 იანვრიდან 25 დეკემბრის მდგომარეობით მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში:
 - ✓ მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირება გაირა 892 მსმენელმა (368 მსმენელზე ნაკლები 2018 წელთან შედარებით)




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

- ✓ სულ ჩატარებულია 603 საწვრთნელი კურსი, აქედან 51 ე.წ. „in-house“ და ჩვენი სასწავლებლის მერ გაცემულია 114 სერტიფიკატი.
 - ✓ შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით 2019 წლის 29 მარტის N26 ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 01 აპრილიდან საწვრთნელი კურსები გავლის ტარიფები გაიზარდა, მაგრამ გათვალისწინებულია ფასდაკლებები.
 - ✓ სულ რეგისტრირებულია 1190 ბრძანება საწვრთნელი კურსების დაწყებისა და დამთავრების შესახებ.
 - ✓ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 1 ივლისის „საზღვაო - საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო - სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ N5 ბრძანების საფუძველზე საწვრთნელი კურსების აუდიტორიზაციაში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები.
 - ✓ სრული მონაცემები გაწერილია წინამდებარე ანალიზის 14.5 ქვეტავეში. (მონაცემები დაფუძნებულია მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებლის ანგარიშში (ხარისხის სამსახურში შემ.რეგ N 0100 - 25.12.2019, და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ხარისხის სპეციალისტის ანგარიშში შემ.რეგ N 0098 - 24.12.2019; ინახება საქმე N08-87).
- 23) 2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით შპს ბუსსს ანრიის **საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე**:
- 1) სულ ირიცხება:
 - ✓ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბაკალავრიატი) 210 სტუდენტი, მათ შორის: 137- სპეციალობით „საზღვაო ნავიგაცია“ და 73- სპეციალობით „გემის მექანიკა“;
 - ✓ პროფესიულ საგნობრივ და მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე 358 სტუდენტი, მათ შორის: გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი) -117 სტუდენტი და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური (მოტორისტი) – 97 სტუდენტი; საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია (მატროსი) – 66 სტუდენტი და გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია (მოტორისტი) – 78 სტუდენტი.
 - 2) 2019 წელს ჩვენს სასწავლებელში მობილობით ჩაირიცხა ბაკალავრიატის 53 სტუდენტი, სხვა სასწავლებელში გადავიდა 16 სტუდენტი, სტატუსი შეუჩერდა 44 სტუდენტს, შეუწყდა 65 სტუდენტს, აღუდგა 23 სტუდენტს.
 - 3) 2019 წლის განმავლობაში მე-III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - გემბანის და სამანქანე განყოფილების რიგითი შემადგენლობის 224 სტუდენტმა პრაქტიკა გაიარა ჩვენს კუთვნილ სასწავლო გემზე „კაპ.ო.ჩახვამე“
 - 4) 2019 წლის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობდა ჩვენი სასწავლებლის სტუდენტების შორეულ ნაოსნობაში პრაქტიკით უზრუნველყოფა; სხვადასხვა კომპანიის გემებზე პრაქტიკის გასავლელად 2019 წლის განმავლობაში გაიგზავნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 24 სტუდენტი (პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ანგარიში რეგ. N0107 – 25.12.2019)
 - 5) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია არსებული ანალიზის 14.6 ქვეტავეში და დეკანის ანგარიშში (ხარისხის სამსახურში შემ. რეგ. N 0110- 25.12.2019, საქმე N08-87).
- 24) სასწავლო გემი „**კაპიტანი ო.ჩახვამე**“-ზე სისტემატიურად, გეგმა-გრაფიკის თანახმად ტარდებოდა მექანიზმებისა და დანადგარების შემოწმება. მასის თვეში ჩატარდა „კაპიტანი ო.ჩახვამე“-ზე არსებული საკონტროლო-გამზომი დანადგარების გეგმიური შემოწმება. გეგმიურად, ყოველ თვეში ტარდებოდა გემის მექანიზმებისა და დანადგარების შემოწმება. წლის განმავლობაში გემს ჩაუტარდა სხვადასხვა ტექ. და სარემონტო სამუშაოები, მათ შორის ზეთის და ზეთის ფილტრების შეცვლა,



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

- დამხმარე ძრავზე ახალი ბორტგარე წყლის გამაგრილებელის დაყენება, დამხმარე ძრავზე კარტერის, ფილტრების გაწმენდა. სასწავლო გემზე სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ჩაურდა სასწავლებლის სტუდენტებს: . ვერ მოხდა გემის სარეგისტრაციო მოწმობის განახლება, ვინაიდან შესამოწმებლად ვერ მოხერხდა გემის ნაპირზე ამოყვანა, რადგან ნავსადურში არაა შესაბამისი ამწე. ვართ ამწის მოლოდინში. (სასწავლო გემის კაპიტნისა და უფროსი მექანიკოსის ანგარიში შემ. რეგ N 0096 – 22.12.2019 და პრქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ანგარიში რეგ. N0107 – 25.12.2019).
- 25) წლის განმავლობაში სასწავლებელი უყო ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში. აღინიშნებოდა სტუდენტების აქტიურობა და ინტერესი ღია ლექციებზე დასწრებით, კომფერენციებში მონაწილეობით და საქველმოქმედო აქციებში ჩათულობით. (ყველა მოვლენა გაზიარებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე და ფეისბუქ-გვერდზე, გაწერილია პრორექტორის ანგარიშში - რეგ. N 0101 – 25.12.2019; პიარ-მენეჯერის ანგარიშში - რეგ. N 0104 – 25.12.2019; პრქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ანგარიში რეგ. N0107 – 25.12.2019 - საქმე 08-87).
- 26) შპს ბუსსს ანრის ბიბლიოთეკაში 2018 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღემატება 8000 წიგნს, ბიბლიოთეკა ჩართულია ისეთ პროგრამებში როგორცაა Evergreen, Open Biblio, EBSCO. დამატებითი განხილვა მოცემულია არსებული ანალიზის ქვეთავი 14.3-ში.
- 27) ადამიანური რესურსების მართვა - 2019 წელს ვაკანსიის გამოცხადებით ადამიანური რესურსების სპეციალისტად აყვანილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი. 2019 წლის სამტატო განრიგის (ნდ 2-010106) N2 ვერსიით შპს ბუსსს ანრიში დამტკიცებულია 54 სამტატო ერთეული. 2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით შპს ბუსსს ანრიში დასაქმებულია 44 სამტატო პერსონალი და 82 პედაგოგი, მათ შორის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის და კოლეჯის პედაგოგები. ადამიანური რესურსების განვითარების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლებლის პერსონალი იგზავნება სხვადასხვა სახის ტრენინგებზე, ასევე სასწავლებელი იწვევს შესაბამის სპეციალისტებს, რომ ტრენინგები ჩატარდეს ადგილზე, სამუშაო პროცესისგან უწყვეტად. ადამიანური რესურსების სპეციალისტის ანგარიში - შემ. რეგ. N 0099-25.12.2019, საქმე N08-87) და ანალიზის 14.4 ქვეთავში.
- 28) 2019 წლის რესტრუქტურირების შედეგად ჩამოყალიბდა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება. შემოღებულია სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები, სდაც განიხილება სტუდენტებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხები, განყოფილების თანამშრომლებ, სასწავლებლის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად სტუდენტებს აცნობენ სასწავლებლის შიდა წესებს, რეგულაციებს, გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს და სხვა.
- 2019 წლის განმავლობაში ჩვენს კუთვნილ სასწავლო გემზე „კაპიტანი ო.ჩახვამე“ პრაქტიკა გაიარა ჩვენი სასწავლებლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე კურსის ნავიგაციის სპეციალობის 30 სტუდენტმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 110 გემბანის რიგითი მეზღვაურის სპეციალობის სტუდენტმა, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის სპეციალობის 106 სტუდენტმა; შორეულ ნასნობაში პრაქტიკაზე გაემგზავრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე კურსის ნავიგაციის სპეციალობის 18 სტუდენტი და მესამე კურსის გემის მექანიკის სპეციალობის 3 სტუდენტი; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის ნავიგაციის სპეციალობის 1 სტუდენტი.
- 29) სასწავლებელში არსებული არქივი ყოველი წლის ბოლოს ან ახალი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე იბარებს ყველა განყოფილებიდან ვადაგასულ დოკუმენტაციას.
- 30) შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება აკონტროლებს სასწავლებლის შინაგანაწესის შესრულებას, ვახტის უზრუნველყოფას და სასწავლებლის საკონტროლო გამშვებ პუნქტის მუშაობას. წელს მას დაემატა ისე მნიშვნელოვანი ფუქცია როგორცაა



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამისთვის სამტატო განრიგში დაშვებულია შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ერთეული. სასწავლებელს დაცული აქვს ხანზარსაწინააღმდეგო ყველა ნორმები, მატ შორის ყოველ სართულზე არის ხანძარსაქრობი ბოქსები, ანძარმაქრობები, ხანძრისდეტექტორები დამონტაჟებულია ყოველ კაბინეტში და აუდიტორიაში, მოწყობილია საევაკუაციო კიბე. საკონტროლო გამშვებ პუნქტში მიმდინარეობს თანამშრომლების სამსახურში მოსვლის და წასვლის დროის აღრიცხვა, ასევე რეგისტრირდება სასწავლებელში მობრძანებული სტუმრები, მორიგეობის შემოწმება.


- 31) 2015 წლიდან სასწავლებელში ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. 2019 წელს გეგმის შესაბამისად ჩატარდა 2 მოულოდნელი განგაში და დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ღონისძიების ჩატარება აღინიშნა N 05-101 ჟურნალში (ინახება ადამიანური რესურსების სპეციალისტთან) და შესაბამის გეგმაში. ანგარიშები ღონისძიების ჩატარების შესახებ ინახება საქმე N 10-217 ხარისხის სამსახურში, შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან და შინაგანაწესის, ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსთან.

9. შპს ბუსსს ანრის აუდიტორების მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა შემოწმების შედეგების შეფასება

შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელოს, ნდ 2-0201-05 „ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების და საქმეთა შემოწმების ჩატარების პროცესის პროცედურა“, გენერალური დირექტორის მიერ 2018 წლის 04 იანვრით დამტკიცებული შიდა შემოწმების გეგმა-გრაფიკისა და გენერალური დირექტორის 2019 წლის 14 თებერვლის №25 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 19 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმება, ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. (2019 წლის 14 თებერვლის სენატის სხდომის ოქმი №03; 2019 წლის 22 თებერვლის სენატის სხდომის ოქმი №04;)

1. შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა 3 უმნიშვნელო შეუსაბამობა:

- 1) შეუსაბამობის აქტი N 019/01 - სამეურნეო განყოფილების მენეჯერს: არაა აღნიშნული ნომერი ზოგ კაბინეტზე და საკლასო ოთახზე.
 - 2) შეუსაბამობის აქტი N 019/02 - „კაპიტანი ო.ჩახვამე“ სასწავლო გემის კაპიტანს და უფროსი მექანიკოსს: ვადაგასულია გემის რეგისტრაციის მოწმობა, გემის რადიოსადგურის მოწმობა, გემის ზღვაოსნობის სერტიფიკატი, მიზეზია ბათუმის ნავსადგურში შესაბამისი ამწის არ არსებობა, ვინაიდან ის არის რემონტში, სხვა ქალაქში.
 - 3) შეუსაბამობის აქტი N 019/03 - წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსს: პედაგოგების სასწავლო და მეთოდური ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკზე არსწორადაა აღნიშნული მოქმედი ნომერი, აქვე აღნიშნება შეცდომები აქტების რეგისტრაციასა და შევსებაში.
2. შემოწმების შემდეგ შემუშავებული იქნა შეუსაბამობების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები, რომლებიც აღინიშნება შეუსაბამობებისა და მათი აღმოფხვრისათვის მაკორექტირებელი მოქმედებების აქტებში N 019/01, N 019/02, N 019/03.
3. N 019/01, N 019/03 აქტებში აღნიშნული შეუსაბამობები აღმოფხვრილ იქნა დადგენილ ვადაში, რაც შემოწმდა ხმს მენეჯერის მიერ, ხოლო N 019/02 აქტში აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა არაა დამოკიდებული ჩვენს ძალებზე ვინაიდან გემს ესაწირობა წყლიდან ამოყვანა და დათვალიერება რომ მიიღოს გემის რეგისტრაციის მოწმობა, გემის რადიოსადგურის მოწმობა, გემის ზღვაოსნობის სერტიფიკატი. გემზე ჩატარებულია ყველა საჭირო სარემონტო სამუშაოები და ის მზადაა სასერტიფიკაციო შემოწმებისთვის, მაგრამ მისი წყლიდან ამოყვანა შეუძლებელია ვინაიდან ბათუმის ნავსადგურში არაა შესაბამისი ამწე, ხოლო სვა ამწეები არაა განკუთვნილი ნავსადგურში შესასვლელად ან გემის ამოსაყვანად. ვიმყოფებიტ ამწის მოლოდონში, ის არის რემონტში სხვა ქალაქში.




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

10. შპს ბუსსს ანრის აუდიტორების მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა შემოწმების შეუსაბამობათა აღმოფხვრის შედეგები.

1. 2019 წელს ჩატარებული ხმს შიდა აუდიტების შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ სასწავლებელში 2017 წელს დანერგილ ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებს ვაკმაყოფილებთ. ამის დასტურია არა მხოლოდ შიდა, არამედ სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებიც.
2. შიდა შემოწმების დოკუმენტაცი / მტკიცებულებები ინახება N08-88 საქმეში.
3. ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების უკეთესად გათვითცნობიერების, შიდა ნორმატიული დოკუმენტები ახალი სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანისა და სასწავლებლის განყოფილებებში არსებული რისკების შეფასების და პრევენციული ქმედებების დანერგვის მიზნით, სასწავლებლის თანამშრომლებს და პედაგოგებს სისტემატიურად უტარდება ტექნიკური სწავლება, საინფორმაციო შეხვედრები, რაც აღნიშნულია N05-105 ჟურნალში და შესაბამის გეგმა-გრაფიკში.
4. ხმს შიდა შემოწმების ბოლო ოთხი წლის შედეგები:
 - 2019 წელი - ხმს ერთი შიდა შემოწმების შედეგად სულ გაფორმებულია 3 შეუსაბამობის აქტი (ISO 9001:2015)
 - 2018 წელი - ხმს ორივე შიდა შემოწმების შედეგად სულ გაფორმებულია 4 შეუსაბამობის აქტი (ISO 9001:2015)
 - 2017 წელი - ხმს ორივე შიდა შემოწმების შედეგად სულ გაფორმებულია 4 შეუსაბამობის აქტი (ISO 9001:2015)
 - 2016 წელი - ხმს ორივე შიდა შემოწმების შედეგად სულ გაფორმებულია 10 შეუსაბამობის აქტი (ISO 9001:2008)

11. სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ის აუდიტორების მიერ ჩატარებული შემოწმების (გარე აუდიტი) შედეგების შეფასება

1. 2019 წლის 25 თებერვალს სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს აუდიტორების მიერ ჩატარდა შპს ბუსსს ანრის შემოწმება ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე. შემოწმების მიზანი იყო დადასტურება, რომ ბუსსს ანრიში ხმს-ის მუშაობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებს, საზღვაო საგანმანათლებლო პროცესების შესრულების მხრივ და მეზღვაურთა მომზადება/გადამზადებისა და დიპლომირების საერთაშორისო სტანდარტებისა, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით.
შემოწმება ჩატარა სს „რუსული რეგისტრი“-ს ექსპერტებმა ბატონებმა თამაზ თურმანიძემ და რობერტ ხაჩატურიანმა.
ბატონმა თ.თურმანიძემ ჩატარა შესავალი კრება და ბუსსს ანრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა შემოწმების პროგრამა, გეგმა და ვადები.
შემოწმების შედეგად 2019 წლის 25 თებერვლით გაფორმებულ იქნა 1 უმნიშვნელო შეუსაბამობის და 1 დაკვირვების აქტი:
 - შეუსაბამობის აქტი: № 19.00201.310
 - ნდ 2-0201-13 „პერსონალის მირების, მომზადების და შემოწმების პროცედურაში“ არა მითითებული საქართველოს შრომის კოდექსი
 - დაკვირვების აქტი: № 19.00202.310
 - გენერალური დირექტორის პირად საქმეს არა აქვს ნომენკლატურის ნომერიზემოაღნიშნული აქტების საფუძველზე შემუშავებული და 2019 წლის 12 მარტით დამტკიცებულ იქნა მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმა, რომლის თანამხმად, დადგენილ ვადებში, აღმოფხვრილია ჩატარებული შემოწმების (გარე აუდიტი) დროს აღმოჩენილი ყველა



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

შეუსაბამობა. მტკიცებულებები თან ერთვის მაკორექტირებელ გეგმას (საქმე N08-95). 2019 წლის 25 მარტის N0415 ჩვენი წერილით სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“-ს მოვახსენეთ შეუსაბამობების აღმოფხვრის შესახებ.


2. სა „რუსული რეგისტრი“-ს შემოწმების სრული მასალა ინახება საქმეში N 08-95.
3. სა „რუსული რეგისტრი“-ს მიერ ჩატარებული ხმს შემოწმების 4 წლის შედეგები:
 - 2019 - სულ გაფორმებულია 2 აქტი (ISO 9001:2015)
 - 2018 - სულ გაფორმებულია 2 აქტი (ISO 9001:2015)
 - 2017 - სულ გაფორმებულია 2 აქტი (ISO 9001:2015)
 - 2016 - სულ გაფორმებულია 2 აქტი (ISO 9001:2008)

12. სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“-ს აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის/მონიტორინგის (გარე აუდიტი) შედეგების შეფასება

1. 2019 წლის 29 მარტს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორების მიერ ჩატარდა გეგმიური შუალედური აუდიტის, 2019 წლის 17 აპრილს EMSA-ს (ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს) ექსპერტების (სპასკა გეორგიევა, პეტერ პეტროვი) მიერ ჩატარდა პრე-აუდიტი, 2019 წლის 31 მაისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტორებმა ჩატარა აღჭურვილობებისა და მოწყობილობების შემოწმება.
2. ყოველი ზემოაღნიშნული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობების და რეკომენდაციების გათვალისწინება და აღმოფხვრა მიმდინარეობდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ანგარიშების საფუძველზე (მტკიცებულებები - მიმოწერა ინახება N08-189 საქმეში), საბოლოოდ 2019 წლის 16 ივნისს დავამტკიცეთ მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმა. გეგმის 7 პუნქტიდან შესრულებულია 6, ამ დროისთვის არაა დასრულებული პირადი გადარჩენის მეთოდების წვრთნებისთვის განკუთვნილი აუზის მშენებლობა, დასრულება გადავადებული იქნება 2020 წლისთვის.
3. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შემოწმების/აუდიტების სრული მასალა ინახება საქმეში N 08-189.
4. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჩატარებული ხმს შემოწმების 3 წლის შედეგები:
 - 2019 - დაფიქსირებულია 5 შეუსაბამობა; 2 შენიშვნა; 3 რეკომენდაცია
 - 2018 - დაფიქსირებულია 4 რეკომენდაცია
 - 2017 - გამოველნილია 2 შენიშვნა და 3 რეკომენდაცია
 - 2016 - გამოველნილია 1 შენიშვნა და 3 რეკომენდაცია

13. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები

2019 წლის 12-13 თებერვალს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრიში (შემდგომში „სასწავლებელი“) განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, რომლის საფუძველზეც მომზადდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრებები და 2019 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიეცა 60 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. 2019 წლის 3 აპრილის დადგენილებით შეიქმნა ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფი. რომლის წევრებს შორის გადანაწილდა ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით პასუხისმგებლობა. თვითშეფასების ჯგუფი გეგმავდა და კოორდინირებას უწყევდა ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელ სამუშაოებს. თითოეული სტანდარტის აღწერა და შეფასება ხდებოდა სტანდარტთან კორელაციაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით,



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

მათთვის ინფორმაციის გაზიარებისა და განხილვის პროცესის საშუალებით. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, სენატის წევრები ადმინისტრაცია. თვითშეფასების ანგარიშის წერის პროცესში მონაწილეობდნენ თვითშეფასების ჯგუფის წევრები, რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები სტუდენტთა ჯგუფებთან, მათ წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები და კომენტარები, რომელთა ნაწილიც გათვალისწინებულ იქნა ანგარიშში. სასწავლებლის თვითშეფასების ანგარიშის სრულყოფის, სასწავლებლის ყველა პირის ჩართულობისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, 2019 წლის 27 მაისს კორპორაციული ფოსტით სასწავლებლის ყველა თანამშრომელს დააგზავნა მომზადებული თვითშეფასების სამუშაო ვერსია. დაინტერესებულმა პირებმა თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს. რომლის საფუძველზეც მოხდა თვითშეფასების ანგარიშის რედაქტირება და ბოლო ვერსია წარედგინა სენატს.


მართვის სისტემის ეფექტიანობის და ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა სასწავლებლის მართვის ეფექტიანობის შიდა შეფასება. ჩატარდება სტრუქტურისა და მართვის სისტემის აუდიტი, გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეების სასწავლებლის მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად. აუდიტის მიგნებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდება სტრუქტურული ცვლილებების პროექტი. აღნიშნული პროცესი წარიმართა მოწვეული სპეციალისტებისა და სასწავლებლის დასაქმებულთა ჩართულობით. უზრუნველყოფილ იქნება პროცესში სასწავლებლის საზოგადოების მონაწილეობა განხილვებისა და კონსულტაციების მეშვეობით. სტრუქტურის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა ხარისხის მართვის საყოველთაოდ აღიარებული სისტემა (ISO) რომელსაც სასწავლებელი ფლობს ჯერ კიდევ 2005 წლიდან.

სასწავლებლის მისიიდან და განახლებული სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღება მიექცა სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

შედგენილია ე.წ. SWOT-ანალიზი, რომელიც ასახავს სასწავლებლის შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

2019 წლის 14 ივნისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გავაგზავნეთ წერილი N 0802 რომლის დანართი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასება.

2019 წლის 8-9 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის განმეორებითი ვიზიტი. მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულება 60-დღიან ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ ვიზიტამდე შეესწავლათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საინფორმაციო შეხვედრისას ემსჯელათ ძირითადი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ვიზიტის დროს წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის - სასწავლებლის კუთვნილი სასწავლო გემის) დათვალიერება. განმეორებითი მონიტორინგის დასკვნა მივიღეთ 09 სექტემბერს, რის საფუძველზეც შევიმშავეთ და დავამტკიცეთ შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრიში 2019 წლის 08 და 09 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციებისა და რჩევების მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმა.



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

2019 წლის 27 სექტემბერს გაიმართა უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, შპს ბუსსს ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განსახილავად.

2019 წლის 27 სექტემბრის უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს N36 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს ბუსსს ანრის შეუწყდა ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

14. ფუნდამენტალური პროცესების დაცვა

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. სასწავლებლის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;

სასწავლებლის ორგანიზაციული მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი ფუნქციონალური ერთეულებისაგან:

სასწავლებლის მართვის ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლებლის სტრატეგიულ და ოპერაციულ მმართველობას;

ფაკულტეტი, დეპარტამენტი და ცენტრი რომლებიც წარმოადგენენ სასწავლებლის ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს.

სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ასრულებენ დამხმარე ფუნქციებს და თავიანთი ფუნქციების ფარგლებში უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესების ხელშეწყობას, სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებას.

1. სასწავლებლის მართვის ორგანოებს წარმოადგენენ:

პარტიორთა კრება - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უმაღლესი მართვის ორგანო.

სენატი - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სამეცნიერო-კვლევით პროცესებთან დაკავშირებული უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიალური მართვის ორგანო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.

გენერალური დირექტორი - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სასწავლებლის ხელმძღვანელობისა, ძირითადად პასუხისმგებელია ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მმართველობაზე და სასწავლებლის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე.


რექტორი - იგი პასუხისმგებელია სასწავლებელში სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევის პროცესებზე.

პრორექტორი - პირი რომელიც არის რექტორის მოადგილე და პასუხისმგებელია პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის მიმართულებაზე.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური - წარმართავს სასწავლებელში მიმდინარე სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის საკითებს, რისთვისაც შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მათ დანერგვასა და შეფასებას. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სამუშაოთა კოორდინაციას სასწავლებლის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებში.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2. სასწავლებლის ძირითად საგანმანათლებლო და სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი, კვლევითი ცენტრი.



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი - ფაკულტეტი ბუსსს ანრის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია, რომლის მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით.

პროფესიული განათლების დეპარტამენტი - მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით.

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები STCW საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კვლევითი ცენტრი - რომლის მიზანსაც სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა.


დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლისთვისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების მხარდაჭერას, სტუდენტებისა და სასწავლებლის საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება/განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის მართვასა და განვითარებას.

სასწავლებლის სტრუქტურაში შედის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

სტუდენტთა, მსმნელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება, სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილება, მცურავი საშუალებები (ს/გ „კაპ.ო. ჩახვამე“, სამამველო და სწრაფმავალი კატარღები), კვლევითი ცენტრი, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილება, შესყიდვების განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება, საფინანსო განყოფილება, სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმნელთა მომსახურების განყოფილება, არქივი, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, საერთო საცხოვრებელი, სამედიცინო პუნქტი.

ფორმალურად სასწავლებლის სტრუქტურის ნაწილი არ არის, მაგრამ სასწავლებლის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტების ისეთ ერთობას, რომელიც, როგორც სასწავლებლის ყველა სტუდენტის მოსაზრებებისა და გამტარებელი და უფლებათა დამცველის ფორმალური სტრუქტურა, მონაწილეობას იღებენ სასწავლებლის მართვის პროცესში და ამავდროულად დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას.

14.1 შპს ბუსსს ანრის საქმიანობის ყველა მიმართულება არის სისტემატიური, გეგმიური, პერიოდული მონიტორინგებისა და კონტროლის ქვეშ. შიდა და გარე კვლევების საფუძველზე იქმნება ყველა პირობა სტანდარტების შესაბამისი, ოპერატიული და ხარისხიანი მომსახურებისათვის. სასწავლებლის საქმიანობის სამივე მიმართულებით (უმაღლესი განათლება, პროფესიული მოდულურ განათლება, მეზღვაურთა წვრთნა და სერტიფიცირება) შემუშავებულია პროცესების ამსახველი შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია (პროცედურა, ინსტრუქცია, დებულება, მექანიზმი და ა.შ.) გარდა შიდა მონიტორინგის და აუდიტების, სასწავლებელს ამოწმებს სერტიფიკაციის ასოციაცია „რუსული რეგისტრი“ ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო მეზღვაურთა მომზადების, სერტიფიცირების და დიპლომირების რეგულაციების, სტანდარტების შესაბამისობაზე, განათლების ხარისხის განვითარებოს ეროვნული ცენტრის უმაღლესი და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობაზე. გარკვეული პერიოდულობით სასწავლებელში სემინარების ჩამოდის EMSA-ს ექსპერტები. ასევე სასწავლებლის შემოწმება/დატვალიერება შეუძლია დამსაქმებელ, კრუინგულ კომპანიებს.



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

ყოველი ზემოხსენებული შემოწმება არ გვაძლევს მოდუნების უფლებას და სასწავლებელი მუდმივად შემოწმებისთვის მზა რეჟიმში. მიუხედავად ამისა არის პროცესების და შემთხვევები როცა შდა თუ გარე აუდიტის დროს გამოვლინდება რაღაც შეუსაბამობა, ხარვეზი და ჩვენ ახალი ძალებით და სემარტებით ვმუშაობთ არსებული შეუსაბამობის არმოფხვრისთვის და ხარვეზის გამოსწორებისთვის.

14.2 ყოველი ზემოხსენებული შემოწმებების გარდა ბუსსს ანრიში მიმდინარეობს ყოველდღიურ საქმიანობაში შეუსაბამობების აღმოჩენა, აღმოფხვრა და პრევენცია, რაც აღინიშნება N08-191 ჟურნალში. 2019 წელს N08-191 ჟურნალში რეგისტრირებულია 4 შეუსაბამობა, ყველა აღმოფხვრილია დადგენილ ვადაში.

14.3 სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა საჭირო ლიტერატურის არსებობა. 2019 წელს ბუსსს ანრის ბიბლიოთეკაში ჩატარდა რემონტი, შეიცვალა კომპიუტერები, კაბელური ინტერნეტი ჩაანაცვლა Wi-Fi. დანერგულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მართვის პროგრამა Evergreen, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა OpenBiblio. წელს დაინერგა ახალი პროგრამა EBSCO. ბიბლიოთეკის ფონდი, პროგრამები და ელ.სისტემები ხელმისაწვდომია ბუსსს ანრის სტუდენტების, მსმენელების, პედაგოგებისა და თანამშრომლებისთვის. ბიბლიოთეკა პასუხობს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. სისტემატურად ხდება ბიბლიოთეკის განახლება. ბუსსს ანრის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სასწავლო ტექნიკური ლიტერატურით: ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 8651 წიგნს; 1 წიგნზე ნაკლები 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით, ვინაიდან გასაყიდი წიგნებიდან გაიყიდა 1 ცალი რ.რიჩკოვის საზღვაო ლექსიკონი.

ამჟამად ბიბლიოთეკაში აღრიცხვაზეა:

- 1) ქართულენოვანი ტექნიკური ლიტერატურა - 2565 ცალი წიგნი (-3 წიგნი, 2018 წელთან შედარებით)
- 2) ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა - 313 ცალი წიგნი (+2 წიგნი, 2018 წელთან შედარებით)
- 3) ქართულენოვანი დარგობრივი ლიტერატურა - 105 ცალი წიგნი (+15 წიგნი, 2018 წელთან შედარებით)
- 4) რუსულენოვანი ტექნიკური ლიტერატურა - 2872 ცალი წიგნი (+8 წიგნი, 2018 წელთან შედარებით)
- 5) რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურა - 1078 ცალი წიგნი (უცვლელია 2018 წელთან შედარებით)
- 6) რუსულენოვანი დარგობრივი ლიტერატურა - 243 ცალი წიგნი (უცვლელია 2018 წელთან შედარებით)
- 7) ინგლისურენოვანი ლიტერატურა - 1475 ცალი წიგნი (+16 წიგნი, 2018 წელთან შედარებით)

აგრეთვე ბიბლიოთეკაში აღრიცხულია:

- 682 ცალი CD (+56, 2018 წელთან შედარებით) და
- 49 ცალი ვიდეო კასეტა, რომელთა რაოდენობა უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში, ვინაიდან ვიდეო კასეტები ჩაანაცვლა CD

ბიბლიოთეკი ფონდის ბოლო 4 წლის მონაცემები:


2019 – 8651 წიგნი

2018 – 8652 წიგნი (№072/2017 აქტის საფუძველზე ჩამოიწერა ხმარებისგან გაცვეთილი ლიტერატურა)

2017 – 8591 წიგნი

2016 – 8328 წიგნი

14.4 საკადრო/სამტატო ცვლილებებთან დაკავშირებით:



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

2019 წელს სასწავლებლის სტრუქტურამ განიცადა შემდეგი ცვლილებები:

ა) სასწავლებლის სტრუქტურის სქემაში დაემატა პარტნიორთა კრება, როგორც სასწავლებლის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, რომელიც მანამდე სქემაში არ იყო;

ბ) პროროექტორი, რომელიც გათვალისწინებული იყო სამტატო განრიგით და ასახული არ იყო სტრუქტურულ სქემაში აისახა; მას დაექვემდებარა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება;

გ) სტრუქტურაში დაემატა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება; რომელიც პასუხისმგებელია სასწავლებლის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და რესურსების მართვაზე;

დ) საცურაო პრაქტიკის და კარიერის ცენტრს მისი ფუნქციებიდან გამომდინარე შეეცვალა სათაური და გახდა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება;

ე) შეიქმნა კვლევითი ცენტრი;

ვ) საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას მისი ფუნქციებიდან გამომდინარე შეეცვალა სათაური და გახდა სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება;

ზ) რიგი სტრუქტურულ ერთეულებს დაქვემდებარებულობის ხარისხის გათვალისწინებით შეეცვალათ სათაურებიც. კერძოდ სასწავლო სამუშაოები გახდა სასწავლო სამუშაოების განყოფილება ხოლო შესყიდვების სამსახური გახდა შესყიდვების განყოფილება;

თ) გაუქმდა 500 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის მცურავი ერთეულის სტრუქტურული ერთეული.

სასწავლებელს აქვს პერსონალის მართვის და შეფასების პოლიტიკა, რომლის მიზანია,

სასწავლებელში კვალიფიციური აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, პერსონალის შეფასება და წახალისება.

პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პროფესიული უნარების, სამართლიანობისა და კონკურენტულობის წახალისების პრინციპებზე. პოლიტიკის მიზანია დასაქმებულთათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეპოტიზმსა და კლიენტისმს. პერსონალის მართვის პრინციპები ხელს უწყობს სასწავლებლის თითოეულ დასაქმებულს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში; უზრუნველყოფს სასწავლებლის დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას; სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეების წარმოჩენას და მათ აღმოფხვრას.

პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მიზნით, სასწავლებელი, როგორც წესი, აცხადებს ვაკანსიებს შესაბამის პოზიციებზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის აყვანა ხდება

სასწავლებელთან მათი წარსული თანამშრომლობის საფუძველზეც, პროფესიული უნარ-ჩვევებისა

და შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

სასწავლებლის პერსონალის შერჩევა იყოფა კატეგორიებად: ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალი,

მოწვეული ლექტორები, აკადემიური თანამდებობები.

2019 წლის განმავლობაში, განხორციელდა რიგი სამუშაოები, რამაც ხელი შეუწყო ადამიანური

რესურსების მართვის მიმართულების პროცესების დახვეწასა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას.

ჩატარდა სამუშაო შეხვედრები (ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუ), სადაც მოხდა როგორც არსებული

სიტუაციის მიმოხილვა და ანალიზი, ასევე, მოხდა საჭიროებების განსაზღვრა, რაც ძალიან

მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის კუთხით განსახორციელებელი სამუშაოების


სრულყოფისა და შემუშავებისათვის.

საჭიროებებიდან გამომდინარე, მოხდა სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული

დებულებების სრულყოფა, გაიმიჯნა სტრუქტურული ერთეულისა და პოზიციების ფუნქცია-

მოვალეობები და ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით.

სასწავლებელში მომუშავე ყველა თანამშრომელი გაეცნო თავის კუთვნილ, სახელობით განახლებულ



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

თანამდებობრივ ინსტრუქციას და დაადასტურა ხელმოწერით. თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში, ჩაემატა პოზიციური სტრუქტურა როგორც ადმინისტრაციული, ასევე ფუნქციონალური დაქვემდებარებისა და ურთიერთქმედების გათვალისწინებით.

პერსონალის შეფასება

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელმა ანრის მიიღო პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლებლის თითოეულ დასაქმებულს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. ერთი მხრივ, ის საშუალებას აძლევს სასწავლებლის პერსონალს, შეიმუშაოს სასწავლებლის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ დასაქმებულის საქმიანობის რეგულარულ შეფასებას.

სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

სამართლიანობა - სასწავლებლის ხელმძღვანელობა ვალდებულია, უზრუნველყოს შეფასების არადისკრიმინაციულობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

თანაბარი შესაძლებლობები - სასწავლებლის ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში. დაუშვებელია პირის დისკრიმინაცია ასაკის, სქესის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით. სასწავლებლის დასაქმებულთა შეფასების სისტემა გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს, თუმცა ამავე დროს აუცილებელია პიროვნების კონფიდენციალურობის დაცვა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის პატივისცემა;

მაღალი სტანდარტები - შეფასების სისტემის პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა სასწავლო სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურების სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობაა;

პროფესიული განვითარება - სასწავლებლის დასაქმებულთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული, ასევე დამხმარე პერსონალის წარმომადგენელთა ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილებების გათვალისწინება;


მონაწილეობა - სასწავლებლის ყველა დასაქმებული უნდა იყოს ჩართული შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში

- 1) 2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით საშტატო განრიგის N2 ვერსიით ბუსსს ანრიში დამტკიცებულია 54 საშტატო ერთეული.
- 2) 2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით ბუსსს ანრიში დასაქმებულია 44 საშტატო პერსონალი და 82 პედაგოგი.

თანამშრომლების რაოდენობის ბოლო 4 წლის შედეგები:


2019 - 44 საშტატო პერსონალი და 96 პედაგოგი
2018 - 39 საშტატო პერსონალი და 81 პედაგოგი
2017 - 40 საშტატო პერსონალი და 65 პედაგოგი
2016 - 43 საშტატო პერსონალი და 60 პედაგოგი

- 3) 2019 წელს გარდაიცვალა 1 პედაგოგი.
- 4) 2019 წელს დაფიქსირდა ხელფასის მომატების 17 და 8 პრემირების შემთხვევა.
- 5) წლის განმავლობაში სულ აყვანილია სამსახურში 24 თანამშრომელი (მათ შორის 14 აკადემიური და 10 ადმინისტრაციული პოზიცია), განთავისუფლდა - 8.
- 6) მიზნით დაესწრო არაერთ ტრენინგს, ტრენინგების სერტიფიკატები ინახებ პირად საქმეებში.
- 7) გეგმების შესაბამისად პედაგოგების და თანამშრომლების ატესტაცია ჩატარდება
- 8) წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო 2 ვაკანსია: ადამიანური რესურსების სპეციალისტის და დამლაგებლის პოზიციაზე. ორივე პოზიციაზე თანამშრომელი შერჩეული იყო კონკურსის შედეგად.



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

- 9) განახლდა თანამშრომლების და პედაგოგების პირადი საქმეების ელ.ბაზა.
- 10) შემუშავების პროცესშია თანამშრომლების და პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ტრენინგების ჩატარების გეგმა.
- 14.5** 2019 წლის 03 იანვრიდან 25 დეკემბრის მდგომარეობით **მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში:**
- 1) მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირება გაირა 892 მსმენელმა.
 - 2) მსმენელთა რაოდენობის ბოლო ოთხი წლის შედეგები:
2019 – 892 მსმენელი
2018 – 1260 მსმენელი
2017 – 1042 მსმენელი
2016 – 1155 მსმენელი
 - 3) სულ ჩატარებულია 603 საწვრთნელი კურსი, აქედან 51 ე.წ. „in-house“ და ჩვენი სასწავლებლის მერ გაცემულია 114 სერტიფიკატი.
 - 4) წლის განმავლობაში საწვრთნელი კურსების ჩასატარებლად მოგვამრთა სხვადასხვა კომპანიამ, მათ შორის პირადი უსაფრთხოების საწვრთნელი კურსი მიწვევით ჩავუტარეთ კომპანია “NRC International Service, Ltd“-ს თანამშრომლებს წალკაში.
 - 5) პირადი უსაფრთხოების საწვრთნელი კურსი და ნავთობში და ქიმში ტანკერებზე მუშაობის საბაზისო საწვრთნელი კურსი ჩავუტარეთ კომპანია “LAMNALCO Georgia“-ს თანამშრომლებს სუფსის ტერმინალზე.
 - 6) ხმს მოთხოვნის შესაბამისად წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მიმდინარეობს ჩვენ მიერ გაწეული მომსახურების შეფასება მსმენელებისა და დამკვეთი კომპანიების მიერ; მსმენელები სისტემატიურად ავსებენ კურსების შეფასების ფურცლებს, ხოლო დამკვეთი კომპანიები მომსახურების დასრულების შემდეგ ჩვენი მოთხოვნით ავსებენ ჩვენს მიერ გაწეულ მომსახურებას და გვიწევენ რეკომენდაციებს. უფრო გამჭვირვალე პროცესისთვის, ანონიმურობის შენარჩუნებისთვის შემოვიყეთ ყულაბა, სადაც მსმენელი ათავსებს მის მიერ შევსებულ შეფასების კითხავარს. ყოველი თვის ბოლოს ყულაბას ხსნის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი, გადასცემს წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელს შეფასების შედეგების ანალიზისთვის. ამ დროისათვის პრეტენზიები, საჩივრები არ შემოსულა (დაწვრილებით იხ. არსებული ანალიზის თავი 12.5).
 - 7) 2018 წლის განმავლობაში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკების შესაბამისად მიმდინარეობდა კომპიუტერული ტექნიკის, სიმულატორების, პროგრამების შემოწმება, ტარდებოდა ტექნიკური შემოწმებები, პედაგოგების ურთიერთდასწრება, რაც დოკუმენტურად უზრუნველყოფილია.
 - 8) განახლდა სატვირთო და საბალასტო წვრთნების სიმულატორის პროგრამა და რადიოლოკაციური ნაოსნობა, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენების სიმულატორის პროგრამა. შევიძინეთ ახალი სამაშველო ნავი, სამაშველო ტივები, სამედიცინო კურსებისთვის შევიძინეთ რეანიმაციის კომპლექტი და დეფიბრატორი და სხვ
 - 9) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მიმდინარეობს ჩვენ მიერ გაწეული მომსახურების შეფასება მსმენელებისა და დამკვეთი კომპანიების მიერ; მსმენელები სისტემატიურად ავსებენ კურსების შეფასების ფურცლებს, ხოლო დამკვეთი კომპანიები მომსახურების დასრულების შემდეგ ჩვენი მოთხოვნით ავსებენ ჩვენს მიერ გაწეულ მომსახურებას და გვიწევენ რეკომენდაციებს. კომპანიების მიერ გაწეული შეფასებები, რეკომენდაციები და მსმენელების ანონიმური შეფასების ფურცლები ინახება ხარისხის სამსახურში არსებულ საქმეში N08-197. მ.წ. კურსების შეფასების ფურცლები, რომლებზეც აღნიშნულია მსმენლის ვინაობა ინახება მსმენელის პირად საქმეში. მიუხედავად იმისა რომ შეფასების პროცესი არის ანონიმური, პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები არ შემოდის. აქედან გამომდინარე ხარისხის სამსახურმა დააწესა შეფასების ფურცლები შეივსოს საწვრთნელი კურსების დასრულების შემდეგ საგამოცდო



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

ამონაწერის წაღების დროს. მსმენელი ავსებს შეფასების ფურცელს სასწავლებლის თანამშრომლისგან მოსორებულად, სპეციალურად განკუთხვილ დახლზე და ათავსებს სესაბამის დალუქულ ყულაბაში. ყულაბის გასაღები ინახე ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, რომელიც ყულაბას ხსნის ყოველი თვის ბოლოს და წვთისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელთან ერთად ეცნობა შეფასების შედეგს. შეფასების შედეგების საფუძველზე შევსების წვთისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი ამუშავებს ანალიზს და წარუდგენს ხარისხის სამსახურს.

2019 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით შეფასების ფურცელი შეავსო 598 მსმენელმა, მოწონების კოეფიციენტი შეადგენს 5-4 ქულას. 2019 წელს მდგომარეობით მსმენელებისგან სასწავლებელში პრეტენზია, საჩივარ, რეკომენდაცია არ შემოსულა. (იხ. თავი 14)

- 10) მეზღვაურთა იდენტიფიკაციური ნომრების რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონული პროგრამის მეშვეობითაც.
- 11) წლის ბოლოს ჩვენც ვაწარმოებთ ჩვენი სასწავლებლისთვის წლის განმავლობაში გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების და მომწოდებლების შეფასებას, რომელიც ასევე ინახება საქმე N08-197-ში. (იხ. თავი 14).

14.6 საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი (უსდ)

- 1) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ბუსსს ანრიის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე: სულ ირიცხება:

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე - 210 სტუდენტი
- პროფესიულ მოდულურ პროგრამებზე - 144 სტუდენტი

აქედან სპეციალობების მიხედვით ირიცხება:

- საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) სპეციალობაზე - სულ 137 სტუდენტი
- საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) სპეციალობაზე - სულ 73 სტუდენტი
- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - სულ 66 სტუდენტი

გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სულ 78 სტუდენტი

- 2) 2019 წელს უსდ დაამთავრა:

- გემბანის რიგითი მეზღვაური - 77 კურსდამთავრებული
- სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური - 78 კურსდამთავრებული

- 3) 2019 წლის განმავლობაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსი: უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- შეუწყდა 16 სტუდენტს (გადავიდა სხვა სასწავლებელში)
- შეუჩერდა 23 სტუდენტს
- აღუდგა 12 სტუდენტს

პროფესულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:


- შეუწყდა 49 სტუდენტს
- შეუჩერდა 21 სტუდენტს
- აღუდგა 11 სტუდენტს

- 4) 2019 წლის განმავლობაში მობილობით:

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე გადმოვიდა 53 სტუდენტი
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებიდან გადავიდა სხვა სასწავლებელში 15 სტუდენტი

- 5) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის (უსდ) ბოლო 4 წლის მონაცემები:

	კვალიფიკაცია/ პროგრამა	2016	2017	2018	2019
ჩაირიცხა	საზღვაო ნავიგაცია/	23;	16;	39;	22;



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW


	უმაღ.საგან.პროგრამა	7 მობილობით გადმოვიდა და 1 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში	30 მობილობით გადმოვიდა და 4 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში	34 მობილობით გამოვიდა და 10 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში	26 მობილობით გამოვიდა და 14 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში
	გემის მექანიკა/ უმაღ.საგან.პროგრამა	4; 3 მობილობით	6; 25 მობილობით გადმოვიდა	8; 20 მობილობით გადმოვიდა და 5 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში	8; 27 მობილობით გადმოვიდა და 2 მობილობით გადავიდა სხვა სასწავლებელში
	III საფ.გემბ.მეზღვ./ პროფ. საგან.პროფ.	-	188	148	117
	III საფ.სამანქ.განყ. მეზღვ./ პროფ. საგან.პროფ.	-	146	132	97
	საგემ. განყოფ. ექსპლ./ მოდ. პროფ. საგან.პროფ.	-	-	-	66
	გემის სამან. განყოფ. ექსპლ. მოდ. პროფ. საგან.პროფ.	-	-	-	78
დაამთავრა	საზღვაო ნავიგაცია/ უმაღ.საგან.პროგრამა	14	9	-	16
	გემის მექანიკა/ უმაღ.საგან.პროგრამა	-	-	-	8
	III საფ.გემბ.მეზღვ./ პროფ. საგან.პროფ.	-	123	142	77
	III საფ.სამანქ.განყ. მეზღვ./ პროფ. საგან.პროფ.	-	106	110	78

- 6) 2019 წლის განმავლობაში გაცემულია 120 პროფესიული განათლების დიპლომი.
- 7) 2019 წლის განმავლობაში საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის თანამშრომლები დაესწრო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს.

14.7 პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პსდ)

პროფესიული განათლების დეპარტამენტი ემსახურება მეზღვაურების რიგითი შემადგენლობის მომზადებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 ნოემბრის N220 გადაწყვეტილების საფუძველზე მოვიპოვეთ უფლება ვაწარმოოთ მესამე დონის პროფესიული მოდულური პროგრამები საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია და გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია. 2019 წლის 01 დეკემბრიდან დაიწყო პროფესიული მოდულური პროგრამების პირველი მიღების სასწავლო წელი.

- 2) პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ ირიცხება 144 სტუდენტი აქედან სპეციალობების მიხედვით ირიცხება:




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - 66 სტუდენტი
- გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - 78 სტუდენტი
- 3) 2019 წელს სასწავლებელი დაამთავრა:
 - გემბანის რიგითი მეზღვაური - 77 კურსდამთავრებული
 - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური - 78 კურსდამთავრებული
- 4) 2019 წლის განმავლობაში პროფესულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსი:
 - შეუწყდა 49 სტუდენტს
 - შეუჩერდა 21 სტუდენტს
 - აღუდგა 11 სტუდენტს
- 5) კსდ-ს ბოლო 4 წლის მონაცემები:

	კვალიფიკაცია/ პროგრამა	2016	2017	2018	2019
ჩაირიცხა	მე-III დონის გემბანის მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	213	188	148	117
	მე-III დონის სამანანე განყოფილების მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	166	146	132	97
	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა	-	-	-	66
	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა	-	-	-	78
დაამთავრა	მე-III დონის გემბანის მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	85	123	142	77
	მე-III დონის სამანანე განყოფილების მეზღვაური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	55	106	110	78

6) 2019 წლის განმავლობაში გაცემულია 120 პროფესიული განათლების დიპლომი.



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

14.8 კვლევითი საქმიანობა

2019 წლიდან სასწავლებელში შემუშავდა კვლევის საქმიანობის პოლიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს სასწავლებლის ეგიდით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებით მოლოდინების და ჩარჩო მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება.

შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი არის კოლეჯი და იგი არ ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, შესაბამისად კვლევის განვითარების პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ სასწავლებელი მოწოდებულია განახორციელოს კოლეჯის სტატუსის შესაბამისი კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რისთვისაც მზად არის კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში დანერგოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მიდგომები.

სასწავლებლის მიაჩნია, რომ კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის აუცილებელია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებელთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორის ფართო ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება როგორც ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის, აგრეთვე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

წელს სასწავლებელმა გამოაცხადა შიდა საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 1 ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევა.


მიმდინარე წელს სასწავლებელში უკვე ჩატარდა ოკენის დღისადმი მიძღვნილი პროფესორ მასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული კონფერენცია “წყალი და ადამიანი“. ხოლო შემოდგომაზე იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება. რაც დაგვირგვინდება სამეცნიერო შრომათა კრებულის, კონფერენციის მასალების ორგანიზებულად და ვადებში გამოცემით.

სასწავლებლის ბიუჯეტიდან არსებითად გაიზარდა კვლევითი საქმიანობის დაფინანსება. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დაფინანსებისათვის გამოიყო 28 000 ლარი.

სასწავლებელმა შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და პროდუქტიულობის მექანიზმები, ასევე კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების დოკუმენტი. რაც სასწავლებელს საშუალებას აძლევს დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობა.

ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება სასწავლებელმა მიიღო 2019 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნით სასწავლებელი მიზნად ისახავს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ფორმირების ხელშეწყობას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაღრმავებას, კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით, სტუდენტთა ჩართულობის ამაღლებას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მიღწეული შედეგების სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების მხარდაჭერას.

სასწავლებელს ჩამოყალიბებულია აქვს კვლევითი საქმიანობის მომავალი სტრატეგია, რომელიც მოიცავს, როგორც ინტერნაციონალიზაციის, აგრეთვე ახალგაზრდა კადრების კვლევაში ჩართვის სტრატეგიას. სასწავლებელში შექმნილია პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი ითვალისწინებს კვლევითი პროექტების დაფინანსებას, პერსონალის მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

(აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, სასწავლებელი შესაბამისი რესურსის ფარგლებში, იღებს გენერალური დირექტორი, კომისიის წარდგინების საფუძველზე.

შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი გააძლიერებს თანამშრომლობას უცხოურ უნივერსიტეტებთან, რისთვისაც გაფორმდება მემორანდუმები.

სასწავლებელი დაიწყებს საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მათ შორის კვლევითი პროექტების წახალისებას. სასწავლებელი გამოყოფს თანხას კვლევითი პროექტებისათვის. კვლევის ინტერნაციონალიზაცია ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის, არამედ მთელი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი არ არის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მიუხედავად ამისა კვლევის ინტერნაციონალიზაცია სასწავლებლისათვის პრიორიტეტულია, რისთვისაც შეიქმნა კვლევითი ცენტრი და ამ ცენტრის ფარგლებში განხორციელდება საერთაშორისო კვლევებიც.

სასწავლებელი გაზრდის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს ბიუჯეტში დააფინანსებს სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მოხილობას.

სასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია ხელს შეუწყობს უცხოელი მკვლევრებსა და პროფესორებს, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.


სასწავლებელი მხარს უჭერს სასწავლებლის აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო მოხილობაში; სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სხვადასხვა წყაროდან მოიპოვონ დაფინანსება კვლევების ჩასატარებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გაუწიოს კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

სასწავლებელი გეგმავს გრძელვადიან სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით პროექტებს/აქტივობებს უცხოელ პარტნიორებთან. ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში და აქტივობებში.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მიზნები და ამოცანები გაწერილია სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში

1) ბუსსს ანრიმ პირადი გადარჩენის მეთოდების უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით, პრაქტიკული წვრთნების ჩასატარებლად გამოაცხადა კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმა ჯგუფმა, შესარჩევა კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში გარდა სასწავლებლის თანამშრომლებისა შედიოდა სასწავლებლის სტუდენტებიც. გამარჯვებულმა ჯგუფმა შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

მოწვეული იქნა კომპანია GEOMER CO, LTD სპეციალისტები, ჩატარდა კვლევები ზღვის ტერიტორიაზე გრუნტის სისუფთავის და წყლის სიღრმის განსასაზღვრად. კვლევის შედეგი იყო დამაკმაყოფილებელი. აღნიშნული კვლევის მტკიცებულებებს წარმოადგენს ფოტო და ვიდეო მასალა და სიღრმის მაჩვენებელი ცხრილი (წერილი REPORT N 06-220). ასევე ჩატარდა ხანგრძლივი მონიტორინგი წყლის მოქცევა-უკუქცევასა და მის მოქმედებაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე. შედეგი იყო დამაკმაყოფილებელი. ზღვის მოქცევა და უკუქცევა აღნიშნულ ტერიტორიაზე შეადგენს 25-30 სანტიმეტრს, სიჩქარე კი იმდენად უმნიშვნელოა, რომ არც სიღრმეს და არც გრუნტს საფრთხეს არ უქმნის. შესწავლილი იყო შტორმის მოქმედება და გავლენა ზღვის აღნიშნულ ტერიტორიაზე. შედეგი: ზღვის დეღვის 2-3 ბალის დროს არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. იმ შემთხვევაში თუ კი შტორმის მიმართულება იქნება W, NW და ტალღა 3 და მეტი ბალი, წვრთნების ჩატარება №1 და №9 ნავმისადგურებს შორის დასაშვებია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

დადინდა, რომ აღნიშნული წვრთნების ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმების დასაცავად სამკაცრიანი გასაბერი ნავი და ექვესკაციანი სამაშველო ტივი. სასწავლო გემი აღჭურვილია შესაბამისი გადასახტომი პლატფორმით, ბადით და შტორმ-ტრაპით, აგრეთვე სამაშველო ნავისა და ტივის გემის ბორტზე ასაწევი მოწყობილობით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირადი გადარჩენის მეთოდების უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით, პრაქტიკული წვრთნების ჩატარება ბათუმის საზღვაო პორტის ტერიტორიაზე ბუსსს ანრის სასწავლო გემის გამოყენებით შესაძლებელია.

კვლევის შედეგების მტკიცებულებებით ჯგუფმა მიმართა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ხელმძღვანელობას და მიიღო ნებართვა პირადი გადარჩენის მეთოდების საწვრთნელი კურსის პრაქტიკული ნაწილის ჩასატარებლად სასწავლო გემის გამოყენებით, ღია ზღვაში.

- 2) 2019 წლის 1 აგვისტოს ბუსსს ანრიმ გამოაცხადა კონკურსი სტანდარტებთან შესაბამისი აუზის რეკონსტრუქციისთვის საჭირო კვლევების ჩასატარებლად. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმა ჯგუფმა, შესარჩევმა კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში გარდა სასწავლებლის თანამშრომლებისა შედიოდა სასწავლებლის სტუდენტებიც.

კვლევისათვის განისაზღვრა საცურაო აუზის საძირკველის და კედლების სისქე 150 მ3 წყლის გამძლეობაზე. საცურაო აუზი, რომლის ზომები იყო 6 მეტრი სიგრძე, 6 მეტრი სიფართე და 1.40 სიღრმე არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1.19 მოდელ კურსის და ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე საჭიროა საცურაო აუზის სიღრმე იყოს არა ნაკლებ 3 მეტრისა, რომელიც მოგვეცემს საშუალებას მსმენელი აუზში გადახტეს არა ნაკლებ 4 მეტრის სიმაღლიდან, ხოლო სიფართე უნდა აკმაყოფილებდეს სამაშველო ტივის გამოყენებას. ამისათვის დაწყებულია მოქმედი აუზის რეკონსტრუქცია.

აუზის რეკონსტრუქციისთვის ჩატარდა შემდეგი კვლევა: გაითხარა გრუნტი საცურაო აუზისთვის, სიგრძე გახდა 10 მეტრი. აუზის სიღრმე 3 მეტრი. საცურაო აუზის საძირკველის და კედლების სისქის განსაზღვრა 150 მ3 წყლის გამძლეობაზე.


კვლევის დასკვნა: საცურაო აუზის საძირკველის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 35 სმ (არმირებული ბედონით); საცურაო აუზის კედლები უნდა იყოს არანაკლებ 35 სმ (არმირებული ბედონით); საცურაო აუზის კედლები ყოველ 3 მეტრში გამარტებული უნდა იყოს არმირებული ბეტონის კონსტრუქციით.

- 3) წლის განმავლობაში სასწავლებელმა ჩაატარა ორი კონფერენცია:

2019 წლის 8 ივნისს ოკეანის დღესთან დაკავშირებით გაიმართა შემეცნებითი კონფერენცია თემაზე „წყალი და ადამიანი“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ბუსსს ანრის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სუდენტები (19 სტუდენტი), ასევე სხვადასხვა სასწავლებლების და ორგანიზაციების წამომადგენლები, სულ ჩართული იყო 75 მონაწილე. დასასრულს ყველა მონაწილეს საზეიმოდ გადაეცა სერთიფიკატები. მტკიცებულებები არის ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ატვირთილია სასწავლებლის ვებ-გვერდზე და სოც.ქსელის გვერდზე. მიმდინარე წლის 18 დეკემბერს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრისა და "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" თანამშრომლობით გაიმართა კონფერენცია თემაზე "ნატო ევროკავშირი და საქართველო".

კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა სოციალური ქსელისა და სასწავლებლის ვებ გვერდის საშუალებით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო რეგისტრაციის გავლა ელექტრონულად.

კონფერენციაში მონაწილეობდა ბუსსს ანრის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სუდენტები, სხვადასხვა სასწავლებლების და ორგანიზაციების წამომადგენლები, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ "რეგიონალური წარმომადგენლები აჭარაში, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლები ნინო ორაგველიძე და ნინო



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

გორგოშამე, ასევე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოება და თავისუფალ მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრები. კონფერენცია მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნატოს ევროკავშირისა და საქართველოს მჭიდროდ თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ის რომ საქართველო დგას ნატოსა და ევროკავშირისაკენ მიმავალ სწორ გზაზე, რაც სწორად, გასაგებად და ვრცლად წარმოადგინეს კონფერენციის მონაწილეებმა.

დასასრულს კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

სამომავლოდ იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის გამათვა თემაზე: „უცხო ენის მნიშვნელობა სხვადასხვა პროფესიაში“.

სამომავლოდ დაგეგმილია სტატიების და ნაშრომების გამოქვეყნება. პლაგიატისგან თავის დაცვის მიზნით სასწავლებელმა შეიძინა სპეციალური პროგრამა.

14.9 ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ერთ-ერთი ახალი სტანდარტი მოითხოვს უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას. აქედან გამომდინარე სასწავლებელმა დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა. მიმდინარეობს ERASMUS+ პროექტში ჩართვა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ სასწავლებელთან თანამშრომლობის შესახებ, სტუდენტების და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების, საერთო კონფერენციების, კვლევების ჩასატარებლად და სხვა მიმართულებებით. სასწავლებლის ერთი პედაგოგი გავაწევრიანეთ საერთაშორისო საზღვაო ლექტორების ასოციაციაში (IMLA).

ბუსსს ანრი ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია განიხილავს როგორც შესაძლებლობას და საშუალებას რათა მოახდინოს სასწავლებლის საზოგადოების მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში, რაც მართვის პროცესების მოდერნიზაციასთან არის დაკავშირებული.

ქვეყნის ინტეგრაციული პოლიტიკისა და ტენდენციების გათვალისწინებით, საერთაშორისო საგანმანათლებლო რეგულაციებში ჩართულობის ფონზე, სასწავლებლის ცნობადობის ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის. სასწავლებელს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ამ მიმართულებით, ეს იქნება დამატებითი შესაძლებლობა გადრმავდეს კოოპერაცია სხვა ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან და საგანმანათლებლო ცენტრებთან.

ამ მიზნით გასახორციელებელია შემდეგი მოკლევადიანი ამოცანები:

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრობის უზრუნველყოფა;
საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და/ან სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა;
საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება.

ამ მიზნით გასახორციელებელია შემდეგი გრძელვადიანი ამოცანები:

საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრობებში მონაწილეობა;

სასწავლებელმა ინტერნაციონალიზაციის მექანიზმებია:

ა) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

ბ) ინგლისურის სწავლება;

გ) სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობა;

ე) ინგლისურენოვანი პროგრამები;


ვ) საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ი) საერთაშორისო კვლევები;

ლ) საერთაშორისო კვლევითი გრანტები;


მ) უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;

ნ) უცხოენოვანი ლიტერატურით პროგრამების გამლიერება;



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

- ო) უცხოენოვანი საგნებით პროგრამების გამრავალფეროვნება;
- პ) ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ბიუჯეტის გაზრდა.
- ჟ) უცხოენოვანი სასერთიფიკაციო პროგრამების დანერგვა;
- რ) საერთაშორისო პროფესურის მოზიდვა;
- სასწავლებელს შემუშავა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის შეფასების სქემა, რომელიც ეფუძნება შემდეგ ოთხ დონიან ციკლს:
- ა) მიმდინარე პროცესის ანალიზი;
- ბ) რეკომენდაციების შემუშავება პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით;
- გ) მიღებული რეკომენდაციების დანერგვა;
- დ) სასწავლებლის თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება, მოიცავს შეფასების ინდიკატორებს:
- ა) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმების, ხელშეკრულებების რაოდენობა;
- ბ) ინგლისური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების რაოდენობა;
- გ) სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, კონკურსებში მონაწილეობის რაოდენობა;
- დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა;
- ე) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა, რომლებშიც სასწავლებლის სახელით მონაწილეობდნენ მისი წარმომადგენლები;
- ვ) სასწავლებლის მიერ ან მისი მონაწილეობით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა;
- ზ) სასწავლებლის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა;
- თ) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად/სტაჟირებაზე გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობა.
- ი) აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;
- კ) პერსონალის (არაკადემიური პერსონალის) გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;
- ლ) უცხოურენოვან კურსების/მოდულების/პროგრამების რაოდენობა;
- მ) უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და ზრდის სტატისტიკა;
- ნ) უცხოენოვანი საგნების რაოდენობა;
- ო) ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა;
- პ) საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ჟ) საერთაშორისო კვლევების რაოდენობა;
- რ) საერთაშორისო კვლევითი გრანტების რაოდენობა;
- ს) ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებული საგნების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- ტ) უცხოენოვანი ლიტერატურის რაოდენობა პროგრამების მიხედვით და ოდენობები;
- უ) სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;
- ფ) ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა ბიუჯეტში;
- ქ) უცხოენოვანი სასერთიფიკაციო პროგრამებისა და მსმენელების რაოდენობა;
- ღ) საერთაშორისო პროფესურის მოზიდვის მაჩვენებელი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია სასწავლებლისათვის წარმომადგენს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზების ხელისშემწეობ საქმიანობას და მეორეს მხრივ კი როგორც ინსტრუმენტს, რომელიც მოახდენს თავად სასწავლებლის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში მიმდინარე პროცესებში. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის



ბარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

- ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად ბუხსს ანრი განახორციელებს საქმიანობას ორი - აკადემიური და სამეცნიერო მიმართულებებით, რაც, ერთი მხრივ, განუყოფელი მიზანია, მეორე მხრივ, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და განსახორციელებელ ამოცანებს.
- 14.10** სასწავლებელში მოქმედი **სამედიცინო პუნქტი** უწყევს ელემენტარულ სამედიცინო დახმარებას როგორც, სტუდენტებს, ასევე საშტატო პერსონალს, პედაგოგებს და ვიზიტორებს, საჭიროებისამებრ. მიმდინარეობს საჭირო მედიკამენტების შეძენა, საჭიროებისამებრ ვადაგასული მედიკამენტების ჩამოწერა.
- 14.11** სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში 2019 წლის განმავლობაში ვიზიტორი არ ყოფილა. კეთილმოწყობილი ოთახები უსასყიდლოდ ეთმობოდა სხვა რეგიონებიდან თუ ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს.
- 14.12** 2019 წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლებლის თანამშრომლები და პედაგოგები იგზავნებოდა სხვადასხვა კონფერენცია/სემინარებზე. ასევე თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად სასწავლებლის ხელმძღვანელობა იწვევდა სპეციალისტებს, როგორც საქართველოს მაშტაბით ასევე საზღვარგარეთიდან. დიდი ყურადღება ეთმობოდა სტუდენტების გათვითცნობიერებასაც, მათთვის ტარდებოდა ღია ლექციები, ვორქსოპები, ეწყობოდა შეხვედრები გამოჩენილ და საინტერესო ხალხთან.


17. SWOT ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება)

სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტების გამოკვეთის, კონკრეტული სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების და ახალი იდეების გენერირების ინსტრუმენტია სტრატეგიული ანალიზი, რომლისთვისაც სასწავლებელი იყენებს SWOT ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება) მეთოდს. რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) სამომავლო პრიორიტეტებისა და სასურველი, მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;
 - ბ) პროგრესის მიღწევისთვის კონკრეტული საფუძვლების შექმნას;
 - გ) დაინტერესებულ პირთა ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და მათი ხედვების და ინტერესების გათვალისწინებას;
 - დ) ხელს უწყობს სასწავლებელში ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას;
- ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)


სასწავლებლის შეფასებისა და ანალიზისათვის, გამოყენებულ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - SWOT ანალიზი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ იქნა სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
<p>მრავალწლიანი ტრადიცია და დარგობრივი განათლების განხორციელების წარმატებული გამოცდილება;</p> <p>პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება;</p> <p>სტაბილურობა და ინსტიტუციური მდგრადობა, სიახლეებისადმი ღიაობა;</p> <p>საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ბარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის, დადასტურების</p>	<p>შეზღუდული გავლენა საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებაზე.</p> <p>გაცვლითი პროგრამების არარსებობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი საერთაშორისო კონტაქტები; • საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა-ჩატარების აპრობირებული პრაქტიკა; • ლექტორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები - სწავლისა და სწავლების უახლესი მეთოდების ტრენინგები, ინსტრუქტორთა საერთაშორისო გადამზადება;



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

<p>სერტიფიკატები); თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საკრუინგო და გემთმფლობელ კომპანიებთან; დარგობრივი განათლების განხორციელებაზე ადაპტირებული სასწავლო გარემო; მაღალკვალიფიციური და სტაბილური ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი; პროფესიული გამოცდილების მოქნე პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროცესში; თანამშრომლობა და პარტნიორობა რეგიონისა და მსოფლიოს წარმატებულ დამსაქმებლებთან; სწავლების სუბიექტზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება; სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა;</p>	<p>ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი დონე; ინგლისური ენის დაბალი ცოდნის დონე სტუდენტებში; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობა და უჩხოელი სპეციალისტების არარსებობა; ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის წევრობა; სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებში; დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროგრამების შედგენაში; მოქმედი მეზღვაურების რიგიდან პედაგოგების სიმცირე; სასწავლო პროცესის მიღმა საქმიანობით სტუდენტების არასაკმარისი დაინტერესება; პერსონალის მიერ სხვადასხვა პროექტების მომზადების, სტუდენტებისათვის და პერსონალისათვის ტრენინგების, საჯარო ლექციების, მასტერ კლასების სიმცირე;</p>
<p>შესაძლებლობები - Opportunities</p>	<p>საფრთხეები, რისკები - Threats</p>
<p>ინტერნაციონალიზაციის დონის გაღრმავება. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა; უცხოელ-პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება; • საზღვაო დარგების უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით; მართვის სისტემის და საორგანიზაციო სტრუქტურის შემდგომი განვითარება; ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების და სასწავლებლის ერთიანი საინფორმაციო სივრცის განვითარება; • სტუდენტური თვითმმართველობის პროექტების რეალიზება; • ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; • სტუდენტთა დახმარების სერვისის სრულყოფა. სტაბილურობა და კონკურენტუნარიანობა;</p>	<p>დაგეგმილი კონტინგენტის მიუღებლობა; მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა დაბალი ანაზღაურება (საზღვაო სატრანსპორტო გემებზე დასაქმებულთა ანაზღაურებასთან შედარებით) არ იძლევა თანამედროვე დარგობრივი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი კადრების ხანგრძლივ ჩაბმას საგანმანათლებლო პროცესში; განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია; არჯანსაღი კონკურენტული გარემო; არათანაბარ პირობებში ყოფნა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით; მიგრაციული პროცესები; ბიზნესის სფეროში დასაქმების ბაზარზე სპეციალისტთა მაღალი კონკურენცია; ინფრასტრუქტურის შენახვის მაღალი ხარჯები; აბიტურიენტთა რიცხვონობის შემცირება; კერძო სასწავლო დაწესებულებებისადმი საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება. სასწავლო საწვრთლელი რესურსების და ფინანსების არასაკმარისობა; სამეცნიერო საქმიანობაში არასაკმარისი დონეზე ჩართულობა; საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის სიმცირე;</p>




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
MANAGEMENT REVIEW

	<ul style="list-style-type: none"> • არასაკმარისი სარეკლამო და PR საქმიანობა; • კორპორაციული ეთიკის ხარვეზები; გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გამოუყენებლობა; აკადემიური პერსონალის კონსერვაციული ტენდენციულობა;
--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სუსტი მხარეების დამლევსთვის და ბუსსს ანრის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია ყველა არსებული შესაძლებლობების გამოყენება, რითაც იქნება შესაძლებელი საფრთხეების შემცირება ან თავიდან აცილება. საფრთხეების უარყოფითი გავლენის შემცირება ან შესუსტება შესაძლებელია რეალიზებული შესაძლებლობების ძლიერი დადებითი გავლენით.

18. შპს ბუსსს ანრის შესრულებული და შეუსრულებელი მიზნების მიზან-შედეგობრივი ანალიზი

- 1) 2019 წლისათვის დასახული მიზნების შესასრულებლად წლის განმავლობაში ჩატარდა ჩვენი სასწავლებლის საქმიანობასთან, წინსვლასა და განვითარებასთან, დაკავშირებული არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება და მოვლენა. რაც აღნიშნულია არსებული ანალიზის წინამდებარე პუნქტებში.
- 2) 2019 წლის მიზნების შესრულება:
 - ✓ თანამშრომლებისა და პედაგოგების კვალიფიკაციის მინიმუმ 10%-ით ასამაღლებლად პერიოდულად ტექნიკური მეცადინეობების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება; პროფესიული განვითარების ამაღლების, შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების პერსონალისთვის გადაცემის/გაზიარების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებზე/კონფერენციებზე/ტრენინგებზე სწრებადობის დონის ამაღლება 10%-ით - წლის განმავლობაში სასწავლებლის ხარჯით თანამშრომლები და პედაგოგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებოდა სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე, ასევე სასწავლებლის ხელმძღვანელობა იწვევდა სხვადასხვა სპეციალისტებს რატ ტრენინგები, სემინარები ჩატარებულიყო სამუშაო პროცესისგან უწყვეტ რეჟიმში, ადგილზე.
 - ✓ შეუსაბამო მომსახურების მართვის გაუმჯობესება აუდიტების დროს აღმოჩენილი შეუსაბამოების რაოდენობის 5%-ით შემცირების მიზნით - შეუსაბამოები აღმოფხვრილია დროულად შესაბამისი გეგმების საფუძველზე;
 - ✓ გასულ წელიწადთან შედარებით 10%-ით კადრების შევსება კვალიფიცირებული პერსონალით - კვალიფიცირებული პერსონალის მოსაზიდათ წელს პირველად გამოვიყენეთ კონკურსის მეთოდი, გამოვაცხადეთ ვაკანტური პოზიციები და შევარჩიეთ ტანამშრომელი ადამიანური რესურსების სპეციალისტის პოზიციაზე;
 - ✓ სასწავლო/საწვრთნელი მასალა, ტრენინგები, დანადგარები და სხვა საჭირო აღჭურვილობის განახლება 5%-ით წინა წლებთან შედარებით - გავანახლეთ ორი სიმულატორი, მიმდინარეობს საწვრთნელი აუზის მშენებლობა;
 - ✓ სასწავლებლის სტუდენტებისთვის შორეულ ნაონობაში პრაქტიკის გასავლელად ხელისშეწყობა, წინა წლებთან შედარებით 5%-ით გაზრდა - აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტები პრაქტიკაზე გაგზავნა, გავაფორმეთ ახალი ხელშეკრულებები კრუინგულ კომპანიებთან;
- 3) 2019 წლის განმავლობაში გავიარეთ 2 შიდა, 2 გარე შემოწმება/აუდიტი, 1 საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული შემოწმება, უსდ-ს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე შესაბამისობის მონიტორინგი, მივიღეთ მონაწილეობა პსდ-ს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაზე თვითსეფასების პროცესში.
- 4) დამტკიცებული გეგმის შესაბამისად თანამშრომლებს ჩაუტარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტექნიკური სწავლებები.
- 5) მიმდინარეობს რისკების შეფასებ და პერევენციული ქმედებების გატარება.
- 6) შევიმუშავეთ SWOT ანალიზი, დავადგინეთ ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები, გავწერეთ კონტექსტი.




ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი MANAGEMENT REVIEW

- 7) პერიოდულად წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში არსებული კურსების სრულყოფილი და მოთხოვნათა შესაბამისად წარმოების კონტროლის მიზნით კურსების მსვლელობას ამოწმებდა საზღვაო სააგენტოს თანამშრომლები.
- 8) ბუსსს ანრის განყოფილებების უფროსების 6 თვის და წლიური ანგარიშების საფუძველზე ხდებოდა სასწავლებლის წლიური სამოქმედო გეგმების, მათ შორის სტრატეგიული გეგმის, გადახედვა და შესრულებული ღონისძიებების აღნიშვნა.
- 9) დაფიქსირდა დაწინაურების, ხელფასის მომატების, კომპიუტერული ტექნიკის შეცვლის, განახლების და თანამშრომლების წახალისების შემთხვევები.
- 10) ხდება ყოველი შეუსაბამო მომსახურების აღმოფხვრა მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებებით;
- 11) მიმდინარეობდა ჩვენი სასწავლებლის სტუდენტების შორეული ნაოსნობის პრაქტიკით უზრუნველყოფა.
- 12) დავიწყეთ მუშაობა ინტერნაციონალიზაციის და კვლევითი საქმიანობის განსავითარებლად.
- 13) შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ჩვენი სასწავლებლის უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, რაც თავისთავად ადასტურებს შპს ბუსსს ანრის მზარდ პოპულარობას.
- 14) ხოლო წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მსმენელების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მეზღვაურები სერტიფიკატებს ანახლებს 5 წელიწადში ერთხელ, ამას გარდა ქ.ბათუმში ფუნქციონირებს კიდე 3 საწვრთნელი ცენტრი.
- 15) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მიმდინარეობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.
- 16) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ ვითვალისწინებთ მომხმარებლის მოთხოვნებს, რეკომენდაციებს და შენიშვნებს, ამისთვის შექმნილი გვაქვს არაერთი ხერხი, მომსახურების შეფასების სხვადასხვა საშუალებები.
- 17) სამომავლო მიზნების დასახვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, ხარისხის გაუმჯობესება და ამაღლება, წინსვლა, მოდერნიზაცია, პოპულარიზაცია, კონკურენტუნარიანობის გაზრდა და არ გავკერდეთ მიღწეულზე.
- 18) 2019 წლისთვის დასახული მიზნები შესრულებულია.
- 19) არსებული ანალიზი არის წლიური ანგარიშების შეჯამება.

19. რისკების შეფასების ანალიზი

რისკების შეფასება ასახულია რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმაში. წლის განმავლობაში ვაკვირდებით სასწავლებელში მიმდინარე პროცესებს და მათთან არსებულ რისკებს, რაც აისახება რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების სამომავლო გეგმაში. 2019 წლის 19 თებერვლის შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი N4283-IIIს მოთხოვნების შესაბამისად სასწავლებელში დანერგია უსაფრთხოების ნორმები, შემშავებულია რისკების მართვის და პრევენციის გეგმა, დამონტაჟებულია საევაკუაციო კიბეები შესაბამისი გასასვლელებით, ყოველ სართულზე არის ხანძარსაწინააღმდეგო ყუთები, საევაკუაციო გასასვლელების მნათობი აღმნიშვნელები, ხანძრის მაქრობები. შინაგანწესის და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილებას დაემატა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა (2019 წლის 03 დეკემბრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N21), საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების მენჯერის პოზიცია. ამჟამად მიმდინარეობს ამ პოზიციაზე სერტიფიცირებული კანდიდატის მოძიება აჭარის დასაქმების სააგენტოს დახმარებით.

22. წინადადებები ბუსსს ანრიში ხმს-ის ამაღლების და მუდმივად შენარჩუნების შესახებ



ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი *MANAGEMENT REVIEW*

- 1) ხმს-ის ამაღლება და მუდმივად მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება სს ISO 9001:2015 შესაბამისად აუცილებელია თავისდროულად იქნას ჩატარებული შემოწმებები, შეფასებულ იქნას რისკები და დადგინდეს პრევენციული ქმედებები, მუდმივად ხდებოდეს კონტროლი თანამშრომელთა მუშაობის პროცესზე, საჭიროებისამებრ ტარდებოდეს თანამშრომლებისათვის ტექნიკური სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა სემინარებზე, ტრენინგებზე დასწრებით, დადებითი გარემოს შექმნა როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მსმენელების, სტუდენტებისა და სტუმრებისთვის.
- 2) უსდ-ს და პსდ-ს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებზე შესაბამისობა
- 3) არ შევჩერდეთ მიღწეულზე და მივისწრაფოდეთ უფრო მაღალი და ხარისხიანი მომსახურების გასაწევად.
- 4) მსმენელების/სტუდენტების/კვალიფიცირებული პედაგოგებისა და თანამშრომლების მოზიდვა.
- 5) კვალიფიცირებული კადრების მოზიდვა.
- 6) სამუშაო ადგილებისა და პირობების გაუმჯობესება.
- 7) კომპეტენტური ორგანოების და პირების რეკომენდაციების და რცევების გათვალისწინება.

23. ხმს გაუმჯობესების რეკომენდაციები

- ხმს გაუმჯობესებისთვის გვესაჭიროება მოვიზიდოთ უფრო მეტი კვალიფიცირებული პედაგოგი, გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა, არ შევწყვიტოთ პერიოდულად თანამშრომლების და პედაგოგების მომზადება/გადამზადება, სწავლება, პერიოდულად განავახლოთ ტექნიკური ბაზა.
- მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მუდმივი ზრდა მომსახურების ხარისხის შიდა წესების, პროცედურების, დებულებების, ინსტრუქციების, გეგმების, ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებით, დანერგვითა და შესრულებით ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- თვითშეფასების გაკეთება;
- SWOT ანალიზი;
- ინტერნაციონალიზაციის და კვლევითი საქმიანობის განვითარება;
- სტუდენტების, მსმენელების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვა;
- მომხმარებლის აზრის (რეკომენდაციების) გათვალისწინება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტორების /ხარისხის სამსახურის თანამშრომლების მომზადება/გადამზადება;
- გვესაჭიროება სარეკლამო, პიარ კომპანიების განხორციელება მსმენელების/სტუდენტების მოსაზიდათ;
- საკრუინგო, გემთმფლობელ კომპანიების წარმომადგენელთან შეხვედრა, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება;
- თანამშრომლებთან საინფრმაციო შეხვედრების და ტექ.სწავლებლების გამართვა;
- გუნდური მუშაობა, სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით.